ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 40

5 ივნისი, 2020 წელი

14:00 სთ

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

თარაშ შურღაია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის სახელის მინიჭების შესახებ;
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საზოგადო მოღვაწის მერაბ ელიოზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ;
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის ძველი ვეძისის სახელის მინიჭების შესახებ;
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის ქუჩის III შესახვევის გაგრძელების შესახებ;
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის იოსებ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ;
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა მშველიძის I ჩიხისთვის ქისის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ყაზახი განმანათლებლის, აბაის სახელის მინიჭების შესახებ;
10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის მიხეილ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
11. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის ხილიანის სახელის მინიჭების შესახებ;
12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ბოდავის I ქუჩის მონაკვეთისთვის მხატვრის, იოსებ(სოსო) გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩის სახელდების შესახებ;
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩისთვის 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული კაპრალის, ვახტანგ გზირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ;
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელის მინიჭების შესახებ;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

პირველი საკითხის განხილვისას, თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ინიციატივა წარმოდგენილი იყო კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ, ენათმეცნიერის სერგი გორგაძის სახელის უკვდავსაყოფად.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩასთან არსებული სკვერისთვის მწერლისა და სცენარისტის, მერაბ ელიოზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. ინიციატივა კოლექტიური განცხადებით წარმოადგინეს მოქალაქეებმა, აღსანიშნავია, რომ მწერალი ცხოვრობდა აღნიშნული სკვერის მიმდებარედ. ასევე განიხილეს მუხიანში უსახელო სკვერისთვის პოეტისა და მთარგმნელის ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭების საკითხი, რომელიც ასევე ცხოვრობდა აღნიშნული სკვერის მიმდებარედ.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ინიციატივა ომში დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდავსაყოფად ნაძალადევის რაიონში მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ძმების ნუკრი და ვასიკო წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ, ასევე ვაკის რაიონში, წყნეთშ, მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მაიორის მიხეილ ოძელაშვილის სახელის მინიჭების საკითხი, რომელიც ცხოვრობდა აღნიშნული სკვერის მიმდებარედ. კომისიის ინიციატივით განიხილეს სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩისთვის აგვისტოს ომის გმირის ვახტან გზირიშვილის სახელის მინიჭება. აღნიშნულ ქუჩაზე მდებარეობს ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელზე აგებული ტაძარი.

სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით ისნის რაიონში შალვა მშველიძის ქუჩის მიმდებარედ I ჩიხის სახელით გვაქვს ორი ობიექტი. მოქალაქეთა მოთხოვნით, ვინაიდან ქუჩაზე გაშენებულია ვაზის ჯიშები, შალვა მშველიძის I ჩიხს ენიჭება ქისის (ვაზის ჯიშის) სახელი.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს უკვე სახელდებულ ქუჩებთან განვითარებული უსახელო ჩიხების, შესახვევების და გასასვლელების შესახებ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო და განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში ჩიხი, შესახვევი ან გასასვლელი ინარჩუნებს ძირითადი ქუჩის სახელს. აქედან გამომდინარე იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს ენიჭება იოსებ კეჭაყმაძის სახელი. ასევე განხორციელდა ძველი ვეძისის ქუჩის და მასთან არსებული უსახელო გასასვლელების დამისამართება. ამასთანავე გაგრძელდა ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის ქუჩის III შესახვევი.

თინათინ ნიბლოშვილმა ისაუბრა სახელდების პროცესში ნაცვალგების პრინციპების დაცვაზე. როგორც ცნობილია ყაზახეთში არსებობს შოთა რუსთაველის, თბილისის, „გრუზინსკაიას“ და აფხაზეთის ქუჩები. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია თბილისშიც არსებობდეს ყაზახი განმანათლებლის აბაი კუნანბაევის ქუჩა, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ვაკის რაიონში მამია გურიელის ქუჩის განაშენიანების პროცესთან დაკავშირებით გასწორდეს ხარვეზი, ვინაიდან შეიცვალა ქუჩის გეგმარება.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით ჩუღურეთის რაიონში ბოდავის I ქუჩა შეიცავს რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელ მონაკვეთს. სამხატვრო აკადემიის ინიციატივის გათვლისწინებით ბოდავის I ქუჩის მონაკვეთს მხატვარ იოსებ(სოსო) გაბაშვილის სახელი მიენიჭება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ იმსჯელა სამგორის რაიონში მდებარე უსახელო ქუჩისთვის აკადემიკოსის, ქიმიკოსის ნიკოლოზ ლანდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მოსახლეობის ინიციატივის შესახებ. მათი მოთხოვნის გათვალისწინებით ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ არსებულ ისტორიულ უბანს მიენიჭა ხილიანის უბნის სახელი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი